ქ. თბილისი

ქ. თბილისში სამხედრო გზაზე, სასტუმრო უშბას მოპირდაპირედ (ს/კ 01.13.01.020.069)

განთავსებული ავტოგასამართი კომპლექსი "ფორმულა გაზი"-ს

პროექტთან იდენტურობა, ობიექტის მშენებლობის

დამთავრების დადასტურება და ტერიტორიაზე განთავსებული კომპრესორის

ხმაურის დასაშვები ნორმის გადამოწმება.

ქ. თბილისი 2016წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში სამხედრო გზაზე, სასტუმრო უშბას მოპირდაპირედ (ს/კ 01.13.01.020.069) განთავსებული ავტოგასამართი კომპლექსი "ფორმულა გაზი"-ს პროექტთან იდენტურობა, ობიექტის მშენებლობის დამთავრების დადასტურება და ტერიტორიაზე განთავსებული კომპრესორის ხმაურის დასაშვები ნორმის გადამოწმება.

თანახმად შპს "გაზ ოილ ჯორჯია"-სთან 01.02.2016წ. გაფორმებული ხელშეკრულებისა, დამევალა ქ. თბილისში, სამხედრო გზაზე, სასტუმრო უშბას გადასწვრივ ს/კ 01.13.01.020.069 ახლადაშენებული ავტოგასამართი კომპლექსი ფორმულა-ს შედარება პროექტთან, მშენებლობის დასრულების დადასტურება და ტერიტორიაზე განთავსებული საკომპრესოროს მიერ გამოწვეული ხმაურის დასაშვებ ნორმაში არსებობა.

ავტოგასამართი კომპლექსის პროექტი შესრულებულია შპს "BG GROUP"-ის მიერ.

ავტოგასამართი კომპლექსი ითვალისწინებს ავტომანქანების გამართვას შეკუმშული ბუნებრივი P≤ 20 მპა (200კგ/სმ^2) წნევის მქონე გაზით ГОСТ 27577-200 (ბუნებრივი კომპრიმირებული საწვავი შიდა წვის ძრავისათვის) კომპრესორიდან "Graf" და ნავთობპროდუქტებით როგორც ბენზინის ასევე დიზელის საწვავით. ბიექტის ბუნებრივი გაზით კვება ხორციელდება გაზსადენით რომლის მიერთების წერტილზე ტექნიკური პირობა გაცემული აქვს შპს "გაზ ოილ ჯორჯია"-ს.

ავტოგასამართი კომპლექსის ტერიტორიაზე განთავსებულია შემდეგი შენობა-ნაგებობები:

1. 2 საოპერატორო შენობა.
2. საკომპრესოროს შენობა.
3. გაზის ამვსები სვეტები.
4. ნავთობპროდუქტების მარიგებელი სვეტები.
5. ნავთობროდუქტების მიწისქვეშა რეზერვუარები.
6. მეხამრიდი.
7. მოსაცდელი.
8. ფარდული.
9. სახანძრო სტენდი.
10. ელ. შატრანსფორმატორო.
11. სახანძრო ჰიდრანტები.
12. გაზის მილგაყვანილობის ტექნოლოგიური მილსადენები.

1. საოპერატორო შენობები

ერთსართულიანი შენობები რომელშიც განთავსებულია როგორც ნავთობპროდუქტების ასევე გაზის სექტორის მენეჯერები და მომსახურე პერსონალი.

ვადასტურებ საოპერატორო შენობების მშენებლობის დამთავრებას.

2. საკომპრესორო

საკომპრესორო შენობა ერთსართულიანია ორი განყოფილებით, ერთი საკომპრესორო მეორე ავტომატიკის, ბლოკის კედლებითა და მსუბუქი გადახურვით. კედლებში მომდენი ვენტილაციისთვის დატოვებულია ჟალუზის ცხაურები, ხოლო გამწოვი ვენტილაციისათვის გადახურვაში გაკეთებულია ღიობი ვენტილატორების მილებისთვის, შენობის იატაკში მოწყობილია არხი შემომსვლელი და გამსვლელი მილებისათვის. აქვს ორფრთიანი მეტალის კარები.

საკომპრესოროში დამონტაჟებულია: იტალიური კომპრესორი Q= 1200მ^3/სთ, რესივერები დაჭირხნული ბუნებრივი გაზის აკუმლატორებისთვის, ფილტრი და მილსადენები.

საკომპრესოროში მოწყობილია ფეთქებადუსაფრთხო განათება, საკომპრესორო კედლებზე, ჭერზე და კარებებზე აკრულია ხმის ჩამხშობი საფენები ხმაურის შესამცირებლად (ექსპერტის დასკვნა თან ერთვის). შაკომპრესოროს აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან აქვს დამცავი კედლების განსხვისების ზოლის შესამცირებლად. შაკომპრესორო შენობის მეორე განყოფილებაში განთავსებულია მართვის ბლოკი.

ვადასტურებ საკომპრესოროს მშენებლობისა და მონტაჟის დამთავრებას.

3. გაზის ამვსები სვეტები

გაზის ამვსები ექვსი სვეტი განთავსებულია ფარდულის ქვეშ უსაფრთხოების კუნძულებზე ფარდულის ქვეშ და მიწისქვეშა მაღალი წნევის გაზსადენებით იღებენ საკომპრესოროდან დაჭირხნულ გაზს.

ვადასტურებ კომპრირებული გაზის ამვსები სვეტების უსაფრთხოების კუნძულებზე მონტაჟს.

4. ნავთობპროდუქტების ამვსები სვეტი (TRK)

ნავთობპროდუქტების ამვსები ექვსი სვეტი განთავსებულია ფარდულის ქვეშ უსაფრთხოების კუნძულებზე და მიწისქვეშა მილსადენებით იღებენ რეზერვუარებიდან ნავთობპროდუქტებს.

ვადასტურებ ნავთობპროდუქტების ამვსები სვეტების უსაფრთხოების კუნძულებზე მონტაჟის დამთავრებას.

5. ნავთობპროდუქტების მიწისქვეშა რეზერვუარები

ნავთობპროდუქტების მიწისქვეშა რეზერვუარებს ჩაუტარდა რეკონსტრუქცია. ისინი გამოირეცხა, გაუახლდა მილსადენების შემოკვრა, რეზერვუარები ჩაისვა ბეტონის სარკოფაგში. შარეზერვუარო პარკი ამვსებ სვეტებს უკავშირდება მიწისქვეშა მილსადენებით. საკომპრესოროსა და სარეზერვუარო პარკს შორის აღმართულია დამცავი კედელი.

ვადასტურებ რეზერვუარების რეკონსტრუქციის დამთავრებას.

6. მეხამრიდი

ავტოგასამართი კომპლექსის ყველა შენობა და დანადგარი დაცულია მეხის პირდაპირი დაცემისგან. შენობა დანადგარები დაკავშირებულია დამიწევის კონტურთან, ტერიტორიაზე დგას ორი მეხამრიდი, დაცვის სისტემის წინაღობა შეადგენს 4 ომს რაც დასაშვები სიდიდეა მოცემული ობიექტისთვის.

ვადასტურებ, ობიექტის მეხდაცვის სისტემის მონტაჟი დამთავრებულია.

7. მოსაცდელი

ტერიტორიააზე განთავსებულია მოსაცდელი გაზბალონიანი მოწყობილობით აღჭურვილი მანქანების მგზავრებისათვის ვინაიდან როგორც ცნობილია კანონი კრძალავს იმ მანქანების ბუნებრივი გაზით გამართვას რომლებშიც სხედან მგზავრები.

ვადასტურებ მგზავრთა მოსაცდელის არსებობას ობიექტზე.

8. ფარდული

ობიექტზე მანქანის ამვსები სვეტები და უსაფრთხოების კუნძულები განთავსებულია ფარდულის ქვეშ, ფარდულის გადახურვის ქვედა დონის სიმაღლე და განათება უზრუნველყოფს ყველა სტანდარტული მანქანებს გატარებას. ფარდული მიერთებულია დამიწების კონტურთან.

ვადასტურებ მგზავრთა მოსაცდელის არსებობას ობიექტზე.

9. სახანძრო სტენდი

ობიექტზე, კერძოდ საკომპრესოროს გარე კედელზე მართვის ბლოკის მხირან მოწყობილია სახანძრო სტენდი. ობიექტზე ასევე განთავსებულია ყველა უსაფრთხოების კუნძულზე ცეცხლმაქრები საოპერატოროს მხრიდან.

10. შატრანსფორმატორო

ობიექტის ელ. ენერგიით მკვებავი სატრანსფორმატორო განთავსებულია როგორც წესი საკომპრესოროსთან ახლოს, 10 კვა სიმძლავრის ტრანსფორმატორით რომელიც ჩამონტაჟებულია კონტეინერში, შემოღობილია მავთულბადით და მიერთებულია დამიწების კონტურთან ელ. ძალოვანი კაბელები მანქანა დანადგარებს უერთდება მიწისქვეშ გავლით.

ვადასტურებ სატრანსფორმატორო კიოსკის მონტაჟის დამთავრებას.

11. ჰიდრანტები

ხანძარქრობისათვის ტერიტორიაზე მოწყობილია ორი d=80 მმ-იანი ჰიდრანტი, ინდივიდუალური გამომრთველი ონკანებითა და ერთი სტენდერით.

ვადასტურებ ჰიდრანტების მონტაჟის დამთავრებას.

12. ტექნოლოგიური მილსადენები

ობიექტი დაქსელილია ტექნოლოგიური მილსადენებით: კომპრირებული გაზის მილსადენები $P \leq 250$ კგ/სმ^2 და ნავთობპროდუქტების მილსადენები რომლებიც გადიან მიწისქვეშა ბეტონის ტრანშეაში, მილსადენების ტრანშეა ზემოდან დაფარულია ფოლადის ადვილად ასახდელი საფარებლებით.

ვადასტურებ შემაერთებელი მილსადენების მონტაჟის დასრულებას.

დასკვნა

ქ. თბილისში სამხედრო გზაზე, სასტუმრო უშბას მოპირდაპირე ს/კ 01.13.01.020.069-ზე განთავსებული შპს "გაზ ოილ ჯორჯია"-ს ავტოგასამართი კომპლექსი "ფორმულა გაზი"-ს მშენებლობა შესრულებულია საქართველოში მოქმედი ყველა სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით, ასევე გათვალიწინებულია ყველა უსაფრთხოების ნორმა, ვადასტურებ ობიექტის ტექნოლოგიური ნაწილის მშენებლობის დასრულებას, ობიექტს ვაძლევ დადებით შეფასებას და ვუწევ რეკომენდაციას მის ექსპლოატაციაში მიღებას.

დამოუკიდებელი ექსპერტი /დ. ჩახტაური/


FORMULA GAS ფორმულა გაზი


GAS 1.28
1.37
1.47
1.12
1.32
14:18


FORMULA








GRAF
OIL & GAS DIVISION
www.grafeng.com

